



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა
და შეწყვეტის პროცედურები

დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის №854 ბრძანებით

თბილისი
2020

შესავალი

სეუ-ს ევალეზა მუდმივად გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების შემოღებისა და მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების/გადასინჯვის გზით. ამ საქმიანობის განხორციელებისას, სეუ ყურადღებას ამახვილებს სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებასა და ინდივიდუალური სასწავლო კურსების გაძლიერებაზე ყოველწლიურად, შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად.

სეუ ცდილობს უზრუნველყოს, რომ მისი საგანმანათლებლო პროგრამები კარგად იყოს შემუშავებული, აკადემიურად თანმიმდევრული და ინტელექტუალურად გამომწვევი. უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა დინამიურია, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად ფასდება და ვითარდება სტუდენტებისთვის სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად და სეუ-ს რეგულაციების შესაბამისობისა და ხარისხის შესანარჩუნებლად.

პუნქტი 1. პროგრამის შემუშავებისა და გადასინჯვის მიზნები

პროგრამის შემუშავებისა და გადასინჯვის პროცესის მიზანია:

- პროგრამის შესაბამისობა მის დონესა და შინაარსთან, სფეროში მიმდინარე პრაქტიკისა და განვითარების გათვალისწინებით;
- პროგრამის თანხვედრა ყველა მოთხოვნასთან, კერძოდ, მისი შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლიოს სფეროების კლასიფიკატორთან;
- პროგრამის თავსებადობა სხვა პროგრამებთან, სეუ-ს მიზნებთან და მისიასთან;
- მოთხოვნა შრომის ბაზარზე;
- პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას;
- საჭირო სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა

პუნქტი 2. სასწავლო პროგრამის შემუშავების ინიცირება

ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავების ინიციატორი შეიძლება იყოს:

1. ვიცე-რექტორი აკადემიურ მიმართულებით - ახალი სასწავლო პროგრამის დანერგვა საგანმანათლებლო სფეროს ფარგლებს გარეთ სეუ-ს ერთ-ერთ ფაკულტეტზე;
2. დეკანი - ახალი პროგრამის შემუშავება ფაკულტეტის ფარგლებში.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის გეგმას აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ან დეკანი.

აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამის გეგმას და წინადადებას სეუ-ს სტრატეგიული მიზნებისა და ამჟამინდელი პორტფელის, შრომის ბაზარზე არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნის, ახალი პროგრამის ეფექტურად წარსადგენად საჭირო რესურსების, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერის განვითარების პერსპექტივებისა და პოტენციური ბაზრის პოტენციალთან დაკავშირებით.

აკადემიური საბჭო ადგენს პირობებს და სამოქმედო გეგმას ახალი სასწავლო გეგმის აკადემიური განვითარებისათვის, თუ წინადადება მიზანშეწონილად მიიჩნევა.

პუნქტი 3. სასწავლო პროგრამის შემუშავების კოორდინაცია

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ ინიციატივის შედეგად, 2.1 მუხლის შესაბამისად, ან დეკანის მიერ, 2.2-ე მუხლის თანახმად.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის მისაღებად. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი პასუხისმგებელია, რომ შესაბამის აკადემიურ პერსონალს მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავების პროცესში.

აკადემიური საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფს პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დასახმარებლად. სამუშაო ჯგუფი, ძირითადად, არაუმეტეს 7 წევრისგან შედგება. სამუშაო ჯგუფის წევრები ინიშნებიან სეუ-ს აფილირებული პერსონალისგან და სეუ-ს ხარისხის განვითარების დეპარტამენტიდან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში და აკრედიტაციის პროცედურებში. სამუშაო ჯგუფში შედიან შესაბამისი მიმართულების სტუდენტები სეუ-დან და კურსდამთავრებულები, ასევე, დაინტერესებული მხარეები.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს და კოორდინაციას ჯგუფის წევრების პასუხისმგებლობების შესრულებას.

პუნქტი 4. სავალდებულო დოკუმენტები

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას საჭიროა განისაზღვროს შემდეგი:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, სწავლის შედეგები და კრედიტების მთლიანი მოცულობა და მათი განაწილება კომპონენტებს შორის;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემოღების დასაბუთება და საჭიროებების შეფასება, მათ შორის, დაინტერესებული მხარეთა მონაწილეობა და შრომის ბაზრის ანალიზი;
- რესურსების შეფასება, რომელიც მიუთითებს არსებული და საჭირო რესურსების რაოდენობაზე (ადამიანური, მატერიალური, ინფორმაციული);
- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვ.

პუნქტი 5. პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების დასამტკიცებლად

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გაუმჯობესება და ცვლილებების განხორციელება:

პროცედურები, რომლებიც მოსდევს 2.1 პუნქტს:

- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ პროგრამის დოკუმენტების შეფასება და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა;
- პროგრამის შეფასება ხარისხის სამსახურის მიერ აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად;
- პროგრამის დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ.

პროცედურები, რომლებიც მოსდევს 2.2 პუნქტს:

- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ პროგრამის დოკუმენტების შეფასება;
- დეკანის მიერ პროგრამის დოკუმენტების შეფასება;
- ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის განხილვა და აკადემიური საბჭოს წარდგენა;
- პროგრამის შეფასება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად;
- პროგრამის დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ.

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფთან და ხარისხის განვითარების

ერთად, შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებასა და განაცხადის წარადგენას აკრედიტაციისთვის.

სასწავლო პროგრამის გადასინჯვა

პუნქტი 6. საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვა

საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვის მიზანია აკადემიური შინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესება, პროგრამის სწავლის შედეგებსა და სტუდენტების მიერ მიღებულ კომპეტენციებს შორის თანხვედრის მონიტორინგი, პროგრამის საჭიროების შესაბამისობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდა.

პუნქტი 7. საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვის დაწყება

საგანმანათლებლო პროგრამების გადასინჯვა ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, პროგრამის თვითშეფასების პრინციპებისა და პროგრამის ეტაპობრივი თვითშეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად. დეკანის მოთხოვნით, ასევე შეიძლება დაიწყოს სასწავლო პროგრამის არაგეგმიური გადასინჯვა.

პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს წინადადებას ფაკულტეტის საბჭოს, რომელშიც ასახულია სასწავლო პროგრამის გადასინჯვის მიზანი, კონკრეტული შედეგების მითითებით, რომელიც ეფუძნება:

- საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის თვითშეფასების დასკვნებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ანგარიშს;
- პროგრამის საკონსულტაციო საბჭოს წინადადებებს;
- სეუ-ს სტრატეგიული გეგმისა და მოთხოვნების ცვლილებებს;
- ცვლილებებს კანონმდებლობაში, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოებში და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ან სხვა რეგულაციებში, რაც მოითხოვს კორექტირებას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებში არსებულ ცვლილებებს;
- ძირითად ვითარებას პროფესიულ ან სამეცნიერო დისციპლინაში

პუნქტი 8. საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის გადასინჯვის წინადადება ემყარება პროგრამის თვითშეფასების შესახებ ანგარიშს.

განხილვის პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- სტუდენტთა კმაყოფილება სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესებში;
- აკრედიტაციის მოთხოვნები;

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნები;
- შრომის ბაზრის საჭიროებები;
- საორიენტაციო ნიშნული უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან;
- ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერა, სასწავლო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო რესურსების ადეკვატურობა და მათზე წვდომა;
- პერსონალის კომპეტენციები.

პუნქტი 9. გადასინჯვის პროცესი

ფაკულტეტის საბჭო ქმნის სარევიზიო კომიტეტს, რომელიც დაეხმარება პროგრამის ხელმძღვანელს განხილვის პროცესში.

სარევიზიო კომიტეტი, ძირითადად, შედგება არაუმეტეს 5 წევრისაგან, მათ შორის დაინტერესებული მხარეებისაგან (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და ა.შ.). პროგრამის ხელმძღვანელი თავმჯდომარეობს სარევიზიო კომიტეტის სხდომებს.

კომიტეტი განიხილავს სასწავლო პროგრამის გეგმას. სარევიზიო კომიტეტმა შეიძლება დაასკვნას, რომ სასწავლო პროგრამა დარჩეს უცვლელი, ან საჭიროებდეს გადასინჯვას. თუ ცვლილებები არ არის საჭირო, პროგრამის ხელმძღვანელი აცნობებს ამის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს.

თუ საჭიროა სასწავლო გეგმის გადასინჯვა, სარევიზიო კომიტეტი შეიმუშავებს და განიხილავს წინადადებებს ცვლილებების შეტანის შესახებ და ათანხმებს გადასინჯულ სასწავლო გეგმას.

პროგრამის ხელმძღვანელი გადასინჯულ სასწავლო პროგრამას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს, ცვლილებები შეაქვს და ამტკიცებს შესწორებული სასწავლო პროგრამის საბოლოო ვერსიას და წარუდგენს მას ხარისხის განვითარების დეპარტამენტს, აკრედიტაციის მოთხოვნების განსახილველად, შემდეგ კი აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო ამტკიცებს გადასინჯულ სასწავლო პროგრამას.

პუნქტი 10. დამტკიცებული გადასინჯვის განხორციელება

პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს სამოქმედო გეგმას და კოორდინაციას უწევს მოსამზადებელ ღონისძიებებს დამტკიცებული ცვლილებების განსახორციელებლად. ცვლილებები უნდა განხორციელდეს შეფერხების გარეშე, სასწავლო წლის დაწყებამდე. განახლებული სასწავლო პროგრამა უნდა გამოქვეყნდეს სეუ-ს ვებგვერდზე.

პუნქტი 11. სასწავლო პროგრამის შეწყვეტა

სასწავლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს შემდეგი პირობის წინადადების საფუძველზე:

- ფაკულტეტის დეკანი
- ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით
- რექტორი
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი

წინადადება წარედგინება აკადემიურ საბჭოს. წინადადებაში ასახულია შეწყვეტის მიზეზები და შემოთავაზებული ნაბიჯები. იგი ასევე ასახავს შემამსუბუქებელ ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტების სწავლის წარმატებით გაგრძელება და დასრულება. აკადემიური საბჭო შეხვედრის დროს კონსულტაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელს. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო პროგრამის შეწყვეტის შესახებ.

ზოგადად, თუ მიღებულია გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის შეწყვეტის შესახებ, ახალი სტუდენტების ჩარიცხვა შეუძლებელია. საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება მანამ, სანამ ბოლო კონტიგენტი არ დაასრულებს სწავლას. თუ პროგრამა ამ პერიოდამდე ვერ გაგრძელდება, სეუ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გააგრძელონ ან დაასრულონ სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან სეუ-ში მოქმედ სხვა პროგრამებზე.